ამერიკული სასკოლო განათლების ინსტრუმენტები —

ინტერვიუ ნანა შველიძესთან

(ნაწილი მეორე)

მარიამ გოდუაძე

ნანა შველიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სამარვილის საჯარო სკოლის (WSNS) ადმინისტრატორი და ვებგვერდების შექმნის კერძო სპეციალისტია. იგი სიამოვნებით გვიყვება თავისი გამოცდილებების შესახებ. მასთან ინტერვიუში მკაფიოდ გამოიკვეთა ქართული და ამერიკული სკოლისა თუ, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებები. გამოიკვეთა გზა, რომლითაც ჩვენი ბავშვები, შესაძლებელია, უკეთეს შედეგებზე გავიდნენ ისე, რომ სასწავლო პროცესი მათთვის არათუ მოსაწყენი, არამედ სასიამოვნო და საინტერესო იყოს.

— ნანა, ქართული და ამერიკული შემთხვევები ერთმანეთს რომ შეადაროთ, ყველაზე მეტად რა გამოცდილების გაზიარება მოგინდებოდათ, მაგალითად, ჩართულობასა (ინკლუზიურობის) და თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. მართვისას, კონკრეტულად, რა მოდელებთან ურთიერთობთ ან ხელმძღვანელობთ?

სკოლა არის დინამიკური ეკოსისტემა, სადაც სხვადასხვა პროფესიონალი ერთად მუშაობს, რათა მოსწავლეებმა მიაღწიონ წარმატებას აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ სფეროებში. თითოეული როლი სკოლაში მოიცავს უნიკალურ გამოცდილებას და ხედვას, თუმცა მათი თანამშრომლობა და კავშირი ქმნის ზრუნვაზე დაფუძნებულ და ეფექტურ სასწავლო გარემოს, დაწყებული მრჩევლებით ("counselors") და მასწავლებლებით,

დამთავრებული — დირექტორითა და ოჯახის „ლეიაზონით“ — **მოკავშირით**[1]. თითოეული თანამშრომელი მუშაობს მოსწავლის ყოვლისმომცველი მხარდაჭერისთვის.

მრჩევლები (counselors) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეების სოციალურ-ემოციური და აკადემიური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. ისინი ეხმარებიან მათ მიზნების დასახვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პირადი სირთულეების გადალახვაში, რითაც უზრუნველყოფენ მოსწავლეების წარმატების გზას. თუმცა, მათი მუშაობა ყველაზე ეფექტურია, როდესაც ძალისხმევას სხვა თანამშრომლებთან აერთიანებენ. მაგალითად, ისინი ხშირად თანამშრომლობენ მასწავლებლებთან იმ მოსწავლეების გამოსავლენად, რომლებსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ. თუ მოსწავლე განიცდის შფოთვას ან ქცევით სირთულეებს, სკოლის მრჩეველი ("School counselor") თანამშრომლობს დისციპლინის დეკანთან და ოჯახის მოკავშირესთან („ლეიაზონთან") ძირეული პრობლემების მოსაგვარებლად თუ გადაწყვეტილებების მისაღებად.

მსგავსად, **მეტყველების თერაპევტები** (SLPs) უზრუნველყოფენ სპეციალურ მხარდაჭერას კომუნიკაციის პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის. მათი სამუშაო კრიტიკულია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრების ეფექტურად გამოხატვა და წარმატების მიღწევა კლასში. მეტყველების თერაპევტები არა მხოლოდ ინდივიდუალურ ინტერვენციებს ახორციელებენ, არამედ ამზადებენ მასწავლებლებს, როგორ დაუჭირონ მხარი მოსწავლეებს კომუნიკაციის დროს. თანამშრომლობა მასწავლებლებთან და IEP-ის გუნდთან, რომელშიც შედიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სკოლის დეკანი, უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგსა და მხარდაჭერას. ეს თანამშრომლობა ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია როლების ურთიერთკავშირი მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

მასწავლებლები, როგორც მოსწავლეებთან ძირითადი კონტაქტის წერტილი, სკოლის გარემოს ცენტრში იმყოფებიან. ისინი ასწავლიან გაკვეთილებს, ქმნიან ინკლუზიურ კლასებს და აყალიბებენ დადებით ურთიერთობებს მოსწავლეებთან. გარდა აკადემიური მუშაობისა,

[1] ავტორისმიერი დაზუსტება.

მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ მოსწავლეების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც დამატებითი დახმარება სჭირდებათ. ისინი რეგულარულად ურთიერთობენ **მრჩევლებთან**, **მეტყველების თერაპევტებთან** და **ოჯახის მოკავშირესთან**, ინტერვენციების ეფექტურად წარმართვის მიზნით. მაგალითად, თუ მოსწავლე მუდმივად აწყდება ქცევით სირთულეებს, მასწავლებელი შეიძლება თანამშრომლობდეს სკოლის დეკანთან კლასის მართვის სტრატეგიების განსახორციელებლად, ხოლო მრჩეველი ერთვება ემოციური მხარდაჭერისთვის.

სკოლის დეკანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის დადებითი და სტრუქტურული კულტურის შექმნაში. მისი მოვალეობაა დასწრების, დისციპლინისა და ქცევითი საკითხების მართვა, რაც ხელს უწყობს მასწავლებლებს და უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ აქტივობებში და გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. თუმცა, დეკანის როლი დისციპლინის საზღვრებს სცდება; ისინი თანამშრომლობენ მრჩევლებთან და ოჯახის მოკავშირესთან, რათა ღრმად შეისწავლონ ის საკითხები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის ქცევაზე (მაგალითად, ოჯახური სირთულეები ან მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები). მათი ძალისხმევა თანხვდება დირექტორისა და დირექტორის მოადგილის მიერ განსაზღვრულ სკოლის მიზნებს.

დირექტორი და დირექტორის მოადგილე მართავენ სკოლას და უზრუნველყოფენ, რომ სკოლის თითოეული წევრი საერთო მიზნების მიღწევისათვის მუშაობდეს. ისინი აკვირდებიან აკადემიურ პროგრამებს, მხარს უჭერენ პროფესიულ განვითარებას და ხელს უწყობენ ინკლუზიურობასა და თანასწორობას. მათი ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების ძალისხმევა კოორდინირებული და მიზანმიმართული იყოს. მაგალითად, მათ შეუძლიათ ოჯახების მოკავშირესთან მუშაობა, რათა გაზარდონ მშობლების ჩართულობა სასკოლო საქმიანობებში, რაც აძლიერებს სახლსა და სკოლას შორის კავშირს.

საბოლოოდ, სკოლის წარმატება დამოკიდებულია პერსონალის თანამშრომლობის უნარზე. რომ მოსწავლეებმა მიიღონ არა მხოლოდ აკადემიური სწავლება, არამედ ემოციური და სოციალური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია მათი განვითარებისთვის. ამ

პროფესიონალების ურთიერთობით იქმნება სასკოლო გარემო, რომელშიც თითოეულ მოსწავლეს მართლაც აქვს წარმატების შესაძლებლობა.

ახლახან ერთ-ერთ სოციალურ ჯგუფში განიხილებოდა, უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში ფსიქოლოგია. ჩემი აზრით, კიდევ ერთი დამატებითი საგანი ბავშვებისთვის აზრს მოკლებულია. სკოლაში უნდა მუშაობდეს ფსიქოლოგი და კარგად უნდა იყოს შერჩეული პერსონალი, ჰქონდეთ მედიატორის ფუნქცია სკოლას, ბავშვებსა და ოჯახს შორის.

— **ნანა, როგორც ჩართულობის სპეციალისტი, გეკითხებით, იმავე ჩართულობას/ინკლუზიას რომ მივუბრუნდეთ და უფრო ჩავუღრმავდეთ, რა სარეკომენდაციო ჩარჩო არსებობს?**

ძალიან საინტერესოა ცალკეულ მდგომარეობასთან, სინდრომთან, დარღვევასთან (მდგომარეობის ბავშვებთან) სასკოლო თემის და, ზოგადად, სახელმწიფოსა თუ ადამიანების დამოკიდებულება.

აშშ-ის განათლების სისტემის სრულად გააზრება მოითხოვს არა მხოლოდ ფედერალური, შტატის, საოლქო და სკოლის დონეების როლების შესწავლას, არამედ — ქალაქის თვითმმართველობის აქტიურ ჩართულობასაც. ქალაქის ხელისუფლება, ადგილობრივი დეპარტამენტები და სერვისები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლების ეფექტურ მუშაობაში. ამ მხრივ, რამდენიმე საკითხს გამოვყოფ, ესენია:

- **საზოგადოებრივი ჩართულობა და პარტნიორობა**

ქალაქის საზოგადოება, კერძო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან პარტნიორებად გვევლინებიან:

- **PTA და მშობელთა ორგანიზაციები**: ხელს უწყობენ მშობლების ჩართულობას.
- **არასამთავრობო ორგანიზაციები**: უზრუნველყოფენ დამატებით რესურსებს, როგორიცაა: ტუტორინგი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.
- **ადგილობრივი ბიზნესები**: ხელს უწყობენ სასწავლო პროგრამებს სტაჟირების და დაფინანსების საშუალებით.

ვალდებულება და უწყვეტი განვითარება

- **ანგარიშვალდებულების სისტემები**, როგორიცაა სტანდარტული ტესტირება.
- **ინკლუზიური და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**.
- **ინოვაციურ ტექნოლოგიებზე გადასვლა,** მაგალითად, 1:1 ტექნოლოგიური მოწყობილობების პროგრამების განხორციელება.

აშშ-ის განათლების სისტემა ეფექტურად ფუნქციონირებს მისი დეცენტრალიზებული სტრუქტურის, ქალაქის აქტიური ჩართულობისა და ყველა დონის კოორდინაციის წყალობით. ყოველი დონე – ფედერალური, შტატის, ოლქის, სკოლისა და ქალაქის – ერთად მუშაობს მოსწავლეების განვითარებისთვის და უზრუნველყოფს მათთვის უსაფრთხო, თანასწორ და თანამედროვე განათლებას. უკეთ გასაგებად შეიძლებოდა დიაგრამის გამოყენება, რათა მეჩვენებინა თითოეული რგოლის როლი და მათ შორის კავშირი. იქნებ მომავალში ჩავშალო, გამოვყო დეპარტამენტები და მათი ფუნქციები.

ნანა ამბობს, რომ ამერიკის საგანმანათლებლო სისტემაში მასწავლებლებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ და არიან როლური მოდელები. მათი ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებლობაა მოწაფეების ნდობისა და პატივისცემის მოპოვება. მასწავლებლები, როგორც წესი, პოზიტიურ და მხარდამჭერ ურთიერთობებს ქმნიან, ისინი არიან მეგობრულნი და საიმედონი, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მისაღებ სასწავლო გარემოს შექმნას. ამგვარად, მასწავლებლები ხელს უწყობენ ისეთ გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტები თავს კომფორტულად და ფასეულად გრძნობენ. ეს კი მათი აკადემიური და სოციალური წარმატების მიღწევის საწინდარია. მთლიანობაში, მასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან ნათელი საზღვრების დადგენასა და კლასის შიგნით წესების ერთგულად დაცვაზე. ამით, ისინი ასწავლიან სწორი ქცევის მაგალითს, რაც ბავშვებს, ეხმარებათ, გაიგონ წესებისა და საზღვრების პატივისცემა, როგორც სასწავლო, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. მასწავლებლები წაახალისებენ სტუდენტებს ამ ქცევების მიღებაში, ასწავლიან მათ, რომ საზღვრები და წესები აუცილებელია ჰარმონიული და პატივცემული სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

ეს დინამიკა არა მხოლოდ ამტკიცებს სტუდენტსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობას, არამედ აძლიერებს საგანმანათლებლო სისტემის სოციალურ და ემოციურ სწავლებასთან დაკავშირებულ მიზნებს. ურთიერთობების საშუალებით, მასწავლებლები ეხმარებიან მოწაფეს, შეძლოს აზრის გამოხატვა, ემოციის მართვა, განსხვავებული აზრის, ფერის, რწმენის პატივისცემა და სხვა სოციალური უნარების განმტკიცება.

მშობლისთვის ძალიან დამამშვიდებელია იმის ცოდნა, რომ მისი შვილი იზრდება უსაფრთხო და მზრუნველ გარემოში, რომელიც მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს ერგება. აკადემიური სწავლების გარდა, მე ვაფასებ იმას, რომ სკოლა აქტიურად ეხმარება ჩემს შვილს ჯანსაღი სოციალური უნარების განვითარებისას. დამატებით, სკოლა უზრუნველყოფს მის ფიზიკურ განვითარებასაც. ცოტა გაკვირვებული ვიყავი, როცა გავიგე, რომ სკოლაში გარკვეული სიტყვების გამოყენება კრძალული იყო: "bad", "you are bad", "war", "weapon", "bomb", "hate", "I hate it", "I hate you", "you are bad", "ugly"[2]. მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები მუდმივად მშვიდად და პატივისცემით ურთიერთობენ, იძლევიან ქცევისა და ურთიერთობების დადებით მაგალითს. ასევე, ძალიან ვაფასებ იმ ფაქტს, რომ სკოლის ადმინისტრაცია სრულად იღებს პასუხისმგებლობას მშობლებთან კომუნიკაციისთვის, ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით, და ყველანაირად ცდილობს ამ პრობლემების გადაჭრას კოლაბორაციული მიდგომით.

იმედს ვიტოვებ, ენობრივ დონეზე მაინც შევძლებთ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. არაერთხელ დამიწერია და მითქვამს, რომ ენას დიდი ძალა აქვს და მას ჩვენი აზროვნების ფორმირება შეუძლია. ნანას ბევრი აქვს ჩვენთვის სათქმელი, ჩვენ კი — მისგან სასწავლი. მასთან საუბარს სტატიის მომდევნო ნაწილში გავაგრძელებთ.

[2] „ცუდი“, „ცუდი ხარ!", „ომი", „იარაღი", „ბომბი", „სიძულვილი“, „მძულს“, „მძულხარ", „ცუდი ხარ!", „უშნო“.